ოქმი:**ო12. 3723166001**

თარიღი:**15/06/2023**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

11.00-11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, ბ. მელუა, მ. ჩხიკვიშვილი, დ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო პროექტის კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 7 მილიონ ლარზე მეტით და მიაღწია ისტორიულ ნიშნულს- 70 მილიონ 273 ათას ლარს, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც გადანაწილდა დამატებითი თანხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომისიის დარგების შესაბამის მუხლებსა და პროგრამებს, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა გამოთქვეს აზრი პროექტის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში შესულიყო ცვლილება, კერძოდ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ...“, წინადადებიდან ამოღებულიყო სიტყვები „ან და ფაქტობრივად მცხოვრები“. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ამ ცვლილებით დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს

სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომაზე გამოთქმული ცვლილების გათვალისწინების შემდეგ დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი